ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: ირანისტიკა (Iranian Studies)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ირანისტიკის მაგისტრი (Master of Arts in Iranian Studies)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS კრედიტი
პროგრამისთვის სავალდებულო კურსები – 60 კრ.
არჩევითი კურსები – 30 კრ.
სამაგისტრო ნაშრომი – 30 კრ.

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი _ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ირანისტიკის დარგის ფუნქციონირების მდიდარი ტრადიციისა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, ირანისტიკის პროგრამის მიზანია, მოამზადოს ფართო პროფილის სპეციალისტი, რომელსაც ექნება საფუძვლიანი ცოდნა სპარსულ ენაში, ლიტერატურაში და ირანის ისტორიაში. პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტი შეიძენს სრულფასოვან ცოდნას დარგის ყველა ძირითად სასპეციალიზაციო დისციპლინაში, ასევე მის მომიჯნავე სფეროებში. გარდა ამისა, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ის გამოიმუშავებს რელიგიური თუ ეთნიკური განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის, უცხო კულტურათა მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების უნარს, რაც დაეხმარება, ჩამოყალიბდეს სწორ ფასეულობებსა და დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებულ მოქალაქედ.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამა კომპლექსურად შეისწავლის სპარსულ ენას, ლიტერატურას, ისტორიას, ირანის ძველ რელიგიებსა და კულტურას, ისლამურ სამართალსა და მის ინსტიტუტებს, რაც საშუალებას მისცემს ამ პროგრამის კურსდამთავრებულს, წარმატებულად იმუშაოს სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში, დიპლომატიურ სარბიელზე და, ასევე, თარჯიმნად, რისი მოთხოვნაც დღევანდელი საქართველოს შრომით ბაზარზე არსებობს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ბაკალავრის ხარისხი აღმოსავლეთმცოდნეობაში (ირანისტიკის სპეციალობით); ასევე ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი დამატებითი სპეციალობით - ირანისტიკა.
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდა;
- სავალდებულოა უცხოური (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) ენის B 1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B 2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).

- სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა სპარსულ ენაში – B 2 დონე.

სწავლის შედეგი:
ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის შედეგებია:

1. ცოდნა და გაცნობიერება:
ირანისტიკის მაგისტრს მიღებული აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა სპეციალობის განმსაზღვრელ ძირითად ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში. იგი ასევე ერკვევა დარგის მომიჯნავე სფეროებშიც.

1.1.	ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ძირითად დებულებათა და მეთოდთა ფართოდ გააზრება კონკრეტული, კერძოდ ინდოევროპული, მასალის საფუძველზე.	ირანულ ენათა შედარებითი გრამატიკა
1.2.	ირანულ ენათა ისტორიულ-დიალექტოლოგიური საფუძვლების შესწავლა; საშუალო ენობრივი ეპოქის დიალექტოლოგიური მიმართებებისა და თანამედროვე სპარსული ენის დიალექტებისა და კილოკავების განსაზღვრა.	სპარსული დიალექტოლოგია
1.3.	ახალი სპარსული ენის ადგილისა და როლის განსაზღვრა, ზოგადად, ინდოევროპულ და, კერძოდ, ირანულ ენობრივ არეალში და მისი პრობლემატიკის გამოკვეთა; ახალი სპარსული ენის შესწავლა; ირანულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ზეპირი მეტყველებისა და წერის კულტურის ცოდნა და ამ ენაში მიღებული სამეტყველო ეტიკეტისა და ქცევის ნორმების ათვისება.	სპეცკურსი ახალ სპარსულ ენაში; სპარსული პრესის ენა; სპარსული მეტყველების კულტურა
1.4.	სპარსული ლიტერატურის ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენებისა და პროცესების გააზრება და სპარსული ლიტერატურის გამორჩეული ნაწარმოებების გაცნობა.	სპეცკურსი კლასიკურ სპარსულ ლიტერატურაში; სპეცკურსი თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაში
1.5.	მხატვრული თარგმანის ძირითადი თეორიების გაცნობა, მათი მიზნებისა და პრობლემატიკის გააზრება.	მხატვრული თარგმანის სემანტიკური და სტილისტური ასპექტები
1.6.	ირანის ძველი რელიგიების საფუძვლების გაცნობა, ძირითადი პრობლემატიკის გამოკვეთა და ქრისტიანულ სამყაროსთან და, კერძოდ, საქართველოსთან მათი კავშირის გააზრება.	ირანის ძველი რელიგიები
1.7.	ისლამური მისტიციზმის _ სუფიზმის პრობლემატიკის განსაზღვრა და გააზრება; სუფიური ლიტერატურის ძირითადი ნიმუშების გაცნობა.	სუფიზმი და სპარსული სუფიური ლიტერატურა
1.8.	ისლამური სამართლის თეორიისა და პრაქტიკის, მისი ძირითადი დარგების საბაზისო ცოდნა; ისლამური სამართლისა და თანამედროვე	შარიათი

	საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმათების გაცნობიერება.	
1.9.	ირანის ისტორიის ამსახველი წყაროების თავისებურებათა ცოდნა; ირანის ისტორიის წყაროების შესწავლის თანამედროვე მეცნიერული კვლევის მეთოდების გააზრება; ირანის წყაროთმცოდნეობასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა, გაანალიზება და შეჯერება.	ირანის წყაროთმცოდნეობა
1.10	მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.	ევროპული ენა (ინგლისური/ გერმანული/ ფრანგული) , B2 დონე

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

მომზადება სპარსული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სპეციალობით მაგისტრს საშუალებას აძლევს, გააცნობიეროს ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზები, ჩაწვდეს ენობრივი, ლიტერატურული და ისტორიული მოვლენებისა და პროცესების არსსა და გენეზისს და გაანალიზოს და კრიტიკულად შეაფასოს ისინი თანამედროვე სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით.

ირანისტიკის მაგისტრს შეუძლია:

2.1.	ირანულ ენათა ისტორიულ-შედარებითი ანალიზი და მათი ტიპოლოგიური შეპირისპირება.	ირანულ ენათა შედარებითი გრამატიკა
2.2.	ძველ და თანამედროვე ირანულ ენათა დიალექტებისა და კილოკავების ამოცნობა, მათი თავისებურებების გამოკვეთა და შეფასება	სპარსული დიალექტოლოგია
2.3.	ახალ სპარსულ ენაზე შექმნილი ტექსტების კითხვა და ენობრივი ანალიზი	სპეცკურსი ახალ სპარსულ ენაში
2.4.	სპარსულენოვანი გაზეთების კითხვა, თარგმნა, ენობრივი ანალიზი და შეფასება; სპარსულენოვან საინფორმაციო ვებგვერდებში გარკვევა; მასმედიის, მწიგნობრული ენისა და ზეპირმეტყველების შედარებითი ანალიზი.	სპარსული პრესის ენა
2.5.	სპარსული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი მოვლენებისა და პროცესების გამოკვეთა და შეფასება; სპარსული ლიტერატურის ადგილის განსაზღვრა მსოფლიო ლიტერატურის არეალში; სპარსული ლიტერატურის	სპეცკურსი კლასიკურ სპარსულ ლიტერატურაში; სპეცკურსი თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაში

	უმნიშვნელოვანესი ძეგლების წაკითხვა და კომენტირება.	
2.6.	სპარსული ლიტერატურის ნიმუშების თარგმნა და ნათარგმნი ტექსტების ენობრივი, სტილისტური და პოეტიკური ანალიზი.	მხატვრული თარგმანის სემანტიკური და სტილისტური ასპექტები
2.7.	ირანის ძველი რელიგიების ძირითადი საკითხებისა და პრობლემების გააზრება და ქრისტიანობასთან მათი კავშირის გამოკვეთა და შეფასება.	ირანის ძველი რელიგიები
2.8.	ისლამური მისტიციზმის _ სუფიზმის არსისა და პრობლემატიკის განსაზღვრა; სუფიური ლიტერატურის ნიმუშების კითხვა, თარგმნა და ანალიზი; სუფიური ხატებისა და სიმბოლოების ამოცნობა და კომენტირება.	სუფიზმი და სპარსული სუფიური ლიტერატურა
2.9.	მუსლიმური ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებში შარიათის როლის გაანალიზება და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ისლამური სამართლის როლის განსაზღვრა ექსპერტის დონეზე.	შარიათი
2.10.	ირანის ისტორიის ამსახველი წყაროებიდან ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ანალიზი; ამ მონაცემების შეჯერება და შეპირისპირება; მოცემული პრობლემისადმი საკუთარი დამოკიდებულების გადმოცემა.	ირანის წყაროთმცოდნეობა
2.11	მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპული ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.	ევროპული ენა (ინგლისური/ გერმანული/ ფრანგული) , B2 დონე

3. დასკვნის უნარი:

სწავლის პროცესში მიღებული ინფორმაციის დიფერენცირება, კრიტიკული გაანალიზება და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.

4. კომუნიკაციის უნარი:

4.1.	სპარსულ ენობრივ გარემოში ადაპტირება და ნებისმიერ ირანელთან თავისუფალი კომუნიკაცია; ირანელებთან ურთიერთობისას სპარსული სამეტყველო ეტიკეტის (თანამდებობის, ასაკისა და სქესის გათვალისწინებით) შესაბამისად მოქმედება; სხვადასხვა სახის სპეციალური წერილობითი დოკუმენტაციის შედგენა სპარსული აკადემიური წერის ნორმების შესაბამისად.	სპეცკურსი ახალ სპარსულ ენაში; სპარსული მეტყველების კულტურა
4.2.	სპარსული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის თემებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია; აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი მოსაზრებებისა და კვლევის შედეგების პრეზენტაცია; დისკუსიაში მონაწილეობა და თანმიმდევრული და ლოგიკურად არგუმენტირებული კამათი.	პროგრამის თეორიული კურსები
4.3	საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და ევროპულ ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით; ქართულ და ევროპულ ენაზე დარგობრივი პრეზენტაციის წარმართვის უნარი.	ევროპული ენა (ინგლისური/ გერმანული/ ფრანგული) , B2 დონე

5. სწავლის უნარი:

სამაგისტრო პროგრამა სტუდენტს აძლევს უნარს, გაიაზროს თავისი პროფესიული ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა, სტრატეგიულად დაგეგმოს მომავალი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და გააგრძელოს სწავლა უფრო მაღალ საფეხურზე _ დოქტორანტურაში ან ინდივიდუალურად საკუთარ თავზე მუშაობით.

6. ღირებულებები:

რელიგიური და ეთნიკური განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი; ტოლერანტული დამოკიდებულება უცხო კულტურათა მიმართ.

აკადემიური სინდისიერებისა და სამეცნიერო ეთიკის დაცვის უნარი.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების,

პრეზენტაციის, სამაგისტრო ნაშრომის და დასკვნითი გამოცდის ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდებს, რომლებიც ერთმანეთში კომბინაციით გამოიყენება:

1. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
2. წიგნზე მუშაობის მეთოდი;
3. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის შესრულება და ა.შ.
4. ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
5. დისკუსია-დებატები;
6. ჯგუფური მუშაობის მეთოდი;
7. დემონსტრირების მეთოდი.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91-100 – ფრიადი, A; 81-90 – ძალიან კარგი, B; 71-80 –კარგი, C; 61-70 – დამაკმაყოფილებელი, D; 51-60 – საკმარისი, E; 41-50 – ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. ცალკეული სასწავლო კურსების შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები: მაგისტრი მზადდება ირანისტიკის დარგში პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო, სარეფერენტო, საარქივო-სამუზეუმო, მეთოდიკური, სათარჯიმნო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისათვის. ირანისტიკის მაგისტრი მომზადებულია, რომ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში დაიკავოს ლაბორანტის, სპეციალისტის, კათედრებთან არსებული კაბინეტის გამგის, ფაკულტეტის მდივნის და სხვ. თანამდებობები; სამეცნიერო დაწესებულებებში, (კერძოდ, აღმოსავლეთმცოდნეობის, ისტორიის, ხელნაწერთა, ენათმეცნიერების, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტებში), გამომცემლობებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემებში, ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ყველა იმ თანამდებობაზე სამუშაოდ, რომელიც გათვალისწინებულ იქნება მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის. მათ შეუძლიათ, აგრეთვე, იმუშაონ დიპლომატიურ სარბიელზე საელჩოებსა და საგარეო საქმეთა სამინისტროში, ასევე თარჯიმნებად.

დამატებითი ინფორმაცია:
სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის რაოდენობა შეადგენს 10 სტუდენტს.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი #1

სილაბუსები: იხ. დანართი #2

პროგრამის ხელმძღვანელი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი მარინა ალექსიძე (CV იხ. დანართი #3)

პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსები:

	პროგრამაში მონაწილე ლექტორები	აკადემიური სტატუსი	სამეცნიერო ხარისხი
1	ჟორჟოლიანი ლილი	ასოცირებული პროფესორი	ფილ. მეცნ. კანდიდატი
2	გელოვანი ნანი	ასოცირებული პროფესორი	ისტ. მეცნ. დოქტორი
3	ალასანია გიული	სრული პროფესორი	ისტ. მეცნ. დოქტორი
4	ჯაფარიძე გოჩა	სრული პროფესორი	ისტ. მეცნ. დოქტორი
5	შურღაია თეა	ასოცირებული პროფესორი	ფილ. მეცნ. კანდიდატი
6	კვაჭაძე მანანა	ასოცირებული პროფესორი	ფილ. მეცნ. კანდიდატი
7	ანთაძე ფატი	ასოცირებული პროფესორი	ფილ. მეცნ. კანდიდატი
8	ალექსიძე მარინა	ასოცირებული პროფესორი	ფილ. მეცნ. კანდიდატი
9	სანიკიძე გიორგი	მოწვეული სპეციალისტი	ისტ. მეცნ. დოქტორი
10	ბართაია ნომად	მოწვეული სპეციალისტი	ფილ. მეცნ. კანდიდატი
11	ბურჯანაძე მზია	მოწვეული სპეციალისტი	ფილ. მეცნ. კანდიდატი

პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალის CV იხ. დანართი #3.

პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსები:

ირანისტიკის დეპარტამენტს სამაგისტრო პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის კარგი მატერიალური რესურსები აქვს. გარდა საერთო საუნივერსიტეტო საბიბლიოთეკო და კომპიუტერული რესურს–ცენტრებისა, დეპარტამენტშია შესანიშნავი ბიბლიოთეკა მრავალენოვანი სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის სოლიდური ფონდით. ბიბლიოთეკის ნაწილი შეძენილია ირანის საელჩოს მიერ, რომელიც ყოველწლიურად, სასწავლო პროცესის მოთხოვნილებების გათვალისწინებით, აგზავნის სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო-პერიოდულ გამოცემებს;

2001 წლიდან ირანისტიკის დეპარტამენტთან ირანის საელჩოს მიერ გახსნილია "ირანის კაბინეტი", რომელიც აღჭურვილია სწავლების ყოველგვარი აუდიო-ვიდეო საშუალებებით (მაგნიტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი, ტელევიზორი და სატელიტური ანტენა, აუდიო და ვიდეოკასეტები, პერსონალური კომპიუტერი, კომპაქტ-დისკები);

თბილისში ირანის საელჩოს შუამდგომლობით შესაძლებელია მოვიწვიოთ სპეციალისტები და კოლეგები ირანიდან სპარსულ ენასა და ლიტერატურაში მოკლე სალექციო კურსის წასაკითხად (რისი პრეცედენტიც უკვე არსებობს);

1996 წლიდან, ირანის საელჩოს დახმარებით, მაგისტრანტებს შეუძლიათ გაიარონ მოკლე და გრძელვადიანი სტაჟირება ირანის რომელიმე უნივერსიტეტში, შეიძინონ სათანადო ლიტერატურა და გაიარონ კარგი პრაქტიკა სასაუბრო სპარსულში. ამასთან, მაგისტრანტებს, ისევე, როგორც მათ პედაგოგებს, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ თეირანის წიგნების საერთაშორისო გამოფენის მუშაობაში, გაეცნონ ახალ გამოცემებს და შეიძინონ სასურველი ლიტერატურა.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ირანისტიკის** სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.